

სახელმძღვანელო საბანკო ანგარიშის გახსნა ირლანდიაში

 Banking & Payments
Federation **Ireland**



მათთვის, ვინც ითხოვს თავშესაფარს ან მიენიჭათ
სტატუსი 2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტით



ეს სახელმძღვანელო არის ადამიანებისთვის, ვინც არიან საერთაშორისო დაცვის განმცხადებლები ან ბოლო დროს მიენიჭათ სტატუსი 2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტით.

ეს სახელმძღვანელო ხსნის თუ რა არის საჭირო საბანკო ანგარიშის გასახსნელად.
მოცემულია სრული ინფორმაცია პროცესისმაქსიმალურად გასამარტივებლად

საბანკო სისტემა ირლანდიაში

- ირლანდიის ბანკები მიესაღებებიან საერთაშორისო დაცვის განმცხადებლებს (თავშესაფრის მაძიებლებსა და ლტოლვილებს) როგორც საბანკო სისტემის მომხმარებლებს
- ფილიალის თანამშრომლები დაგეხმარებიან განაცხადის შევსებაში
- ბანკის თანამშრომლები მომზადებულნი არიან უზრუნველყონ ყოველი მომხმარებლის მხარდაჭერა
- ბანკი გაითვალისწინებს მისი ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების შესაბამისობას მომხმარებლისადმი
- ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონმდებლობის თანახმად, ბანკები ვალდებული არიან გადაამოწონ თქვენი პიროვნება და მისამართი გარკვეული დოკუმენტების გაცნობით
- თუ არ მოგეპოვებათ სტანდარტული დოკუმენტაცია, ბანკმა შესაძლოა მიიღოს სხვა დოკუმენტები, რასაც დამატებითი დრო დასჭირდება
- უმეტეს შემთხვევაში საბანკო ანგარიშის გასახსნელად დაგჭირდებათ ბანკში შეხვედრის დანიშვნა

რატომ უნდა გახსნათ საბანკო ანგარიში?

ჩვენი ფულადი სახსრების ეფექტურად და უსაფრთხოდ სამართავად ყველას გვჭირდება საბანკო ანგარიშები.

არსებობს მრავალი სხვადასხვა ტიპის ანგარიში. ბანკი
მოგაწვდით საჭირო ინფორმაციას და დაგეხმარებათ თქვენი
მოთხოვნილებებისთვის ყველაზე შესაფერისი აგარიშის
შერჩევაში საბანკო ანგარიშით თქვენ შეგიძლიათ:

- ✓ უსაფრთხოდ შეინახოთ თქვენი ფულადი სახსრები
- ✓ ხელფასისა და სარგებლის დარიცხვა პირდაპირ თქვენს
ანგარიშზე
- ✓ გადასახადების ეფექტურად მართვა
- ✓ თქვენი ხარჯისა და დანაზოგის კონტროლი
- ✓ სურვილისამებრ გამოიყენოთ ბარათები და ონლაინ ბანკი



რა არის საჭირო საბანკო ანგარიშის გასახსნელად ირლანდიაში

ბანკები ვალდებული არიან დაადასტურონ თქვენი პიროვნება და გადაამოწმონ თქვენი მისამართი ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონმდებლობის თანახმად ბანკის ფილიალში ანგარიშის გასახსნელად საჭირო იქნება მინიმუმ ერთი დოკუმენტის წარდგენა, როგორც პიროვნების დამადასტურებელი და სხვა საბუთი, როგორც მისამართის დამადასტურებელი.

დაიმახსოვრეთ: სხვადასხვა ბანკებისთვის მისაღები დოკუმენტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს. სტანდარტული დოკუმენტაციის არ ქონის შემთხვევაში, გირჩევთ დაუკავშირდეთ არჩეულ ბანკს ბანკს შეუძლია გირჩიოთ საჭირო დოკუმენტაციის თან მიტანა თქვენი ანგარიშის გასახსნელად.



პიროვნების დადასტურება

პიროვნების დამადასტურებელი სტანდარტული ფორმები:

- **პასპორტი**
- **მართვის მოწმობა** - ევროკავშირის ან ირლანდიის


თქვენი ბანკი მიიღებს ალტერნატიული პიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, თუ ვერ წარმოადგენთ პასპორტს ან მართვის მოწმობას. რაც მოიცავს, მაგალითად:

- **ირლანდიაში ცხოვრების უფლებას**
- **დროებითი ბინადრობის მოწმობას**
- **ირლანდიის სახელმწიფო სამოგზაურო დოკუმენტი** (გაეროს მიერ გაცემული)

მისამართის დადასტურება

მისამართის დამადასტურებელი
სტანდარტული ფორმები:

- **ბოლო კომუნალური გადასახადი**
მაგალითად, ბოლო ექვსი თვის
ბუნებრივი აირის ან ელექტრო ენერჯის
ქვითარი
- **ბოლო საბანკო ამონაწერი**
ბოლო ექვსი თვის
- **გადაწყვეტილების ცნობა**
ბოლო ერთი წლისაგადასახადო
კრედიტების შესახებ
- **წერილი სახელმწიფო**
დეპარტამენტიდან



თქვენი ბანკი მიიღებს ალტერნატიულ დოკუმენტაციას
მისამართის დასადასტურებლად. რაც მოიცავს, მაგალითად:

- **შრომით ბაზარზე დაშვების ნებართვის წერილი**
- **წერილი სახელმწიფო დეპარტამენტიდან ან საერთაშორისო
დაცვის ოფისიდან** განკუთვნილი პირადაპირ ბანკისთვის,
საერთაშორისო დაცვის განმცხადებლის სტატუსისა და
სრული საცხოვრებელი მისამართის დამადასტურებელი
- **წერილი პირდაპირი უზრუნველყოფის ცენტრიდან ან
გადაუდებელი დახმარებისა და ორიენტაციის ცენტრიდან
(EROC) რომელშიც
თქვენ ცხოვრობთ
ბლანკის ქაღალდზე**

რჩევები

- თქვენი მისამართის დამადასტურებელი უნდა იყოს ახალი (ექვს თვეზე ნაკლების) და მოქმედი და თან უნდა იქონიოთ მოქმედი პიროვნების დამადასტურებელი, რომელიც უნდა იყოს ახალი
- სახელი პიროვნების დამადასტურებელ ფოტოზე უნდა ემთხვეოდეს სახელს თქვენს მისამართის დამადასტურებელზე
- სხვადასხვა ბანკი იღებს სხვადასხვა დოკუმენტაციას, ასე რომ განაცხადამდე დაუკავშირდით მათ რათა გაიგოთ, თუ რომელი არის საჭირო
- ბანკების ვებ გვერდებზე განთავსებულია მიღებული დოკუმენტების სია. თან იქონიეთ რაც შეიძლება მეტი პიროვნებისა და მისამართის დამადასტურებელი ფორმები
- უმჯობესია ბანკის ფილიალში შეხვედრის დანიშვნა ან პირადად ანგარიშის გახსნა
- პირადად მხოლოდ საბაზისო საგადასახადო ანგარიშის გახსნა შეგიძლიათ (ცნობილი როგორც საბაზისო საბანკო ანგარიში ირლანდიაში), თუ არ გაქვთ მსგავსი ანგარიში ან რომელიმე სხვა საბანკო ანგარიში ირლანდიაში ან სხვა ევროკავშირის ქვეყანაში

უმჯობესია ბანკის
ფილიალში
შეხვედრის დანიშვნა
ან პირადად
ანგარიშის გახსნა.



- ბანკები იცავენ მრავალ მარეგულირებელ წესებს საბანკო ანგარიშის გახსნისას. უმეტეს შემთხვევაში, რამდენიმე დღე არის საჭირო ფილიალისთვის ანგარიშის გასახსნელად
- თუ შესაძლებელია, ფილიალში მისვლამდე ეწვიეთ ბანკის ვებ გვერდს რჩევებისთვის
- **დანიშნეთ შეხვედრა არჩეული ბანკის ფილიალში**
- საბანკო ანგარიშის გასახსნელად, თან იქონიეთ "რა დაგჭირდებათ საბანკო ანგარიშის გასახსნელად" სექციაში ნახსენები დოკუმენტები
- თქვენ მოგიწევთ გარკვეული ძირითადი ინფორმაციის მიწოდება, იხილეთ საბანკო ანგარიშის განაცხადის ფორმის მაგალითი შემდეგ გვერდზე
- გთხოვთ დაუსვათ ნებისმიერი შეკითხვა ბანკის თანამშრომელს
- ბანკის თანამშრომლები მზად არიან დასახმარებლად. თუ მათ არ მოეპოვებათ პასუხი, ინფორმაციას მოიძიებენ ბანკის შესაბამის კადრთან და შეეცდებიან მოგაწოდონ პასუხი რაც შეიძლება სწრაფად
- შეგიძლიათ დაიხმაროთ სხვა პირი შეხვედრის დასანიშნად ან / და თან მიიყვანოთ ბანკში. ბანკი სავარაუდოდ მოსთხოვს მათ პირადობის დადასტურებას
- დაიმახსოვრეთ, რომ თუ გაქვთ არასტანდარტული დოკუმენტაცია, ყველა ბანკი სხვადასხვა პრინციპით ირჩევს მისაღებ დოკუმენტებს მზადყოფნისთვის, შეხვედრაზე მისვლამდე გაესაუბრეთ ბანკის წარმომადგენელს
- თან იქონიეთ რაც შეიძლება მეტი პიროვნებისა და მისამართის დამადასტურებელი დოკუმენტი

პირადი მონაცემები

*სათაური ბატონი ქალბატონი საკალაბატონე სხვა განმარტეთ

*სახელი

*გვარი

*მისამართი

*ქვეყანა *ქვეყანა

სქესი მამრობითი მდედრობითი

ოჯახური მდგომარეობა დაოჯახებული / სამოქალაქო პარტნიორი მარტოხელა განქორწინებული კვრივი სხვა

დაბადების თარიღი დღე თვე წელი

დაბადების ადგილი (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით)

ქვეყანა / დაბადების ქალაქი ქვეყანა

ანგარიშის დანიშნულება ფოტოგრაფიული სხვა

საბანკო საკმე

შემოსავლის წყარო: ანგარიშზე შესატანი ფულადი სახსრების წარმომავლობა, მაგალითად - ხელფასი სამსახურიდან, სოციალური სარგებელის გადასახადები, რეგულარულად რა თანხას შეტანას გეგმათ ანგარიშზე?

დასაქმების მონაცემები

*დასაქმების ტიპი

დასაქმების ტიპი თვითდასაქმებული დიასახლისი პენსიონერი დროებით უმუშევარი

ამსახურის აღწერა

დამსაქმებლის სახელი

*ძირითადი მთლიანი წლიური შემოსავალი (თუ შემოსავალი არ გაქვთ, გთხოვთ მიუთითოთ "ნული", ანუ "0" შეიტანით შემოსავლის კვლში)

თქვენი შემოსავალი ჩაირიცხება თქვენს საბანკო ანგარიშზე? დიახ არა

საგადასახადო ანგარიშგება

(კანონმდებლობით მოთხოვნილი გარკვეული ანგარიშების ტიპებისთვის)

საკონტაქტო მონაცემები


სახლის ტელეფონის ნომერი მობილური ტელეფონის ნომერი

ელექტრონული ფოსტა

დაკავშირების სასურველი მეთოდი

ტელეფონი: ელ. ფოსტა: ფოსტა:

როდესაც წარადგენთ საჭირო
დოკუმენტაციას, ბანკი დაამუშავებს
განაცხადს.



- თუ დასჭირდებათ დამატებითი ან სხვა დოკუმენტაცია, ისინი დაგიკავშირდებიან
- თუ ბანკი ვერ მიიღებს თქვენს განაცხადს, ისინი შეგატყობინებენ ამას რაც შეიძლება სწრაფად

ბანკები მიყვებიან საჩივრების პროცესს, რომელიც
განსაზღვრულია ცენტრალური ბანკის მომხმარებელთა დაცვის
კოდექსში მათი მომხმარებლებისთვის

- თუ არ ხართ კმაყოფილი თუ როგორ გექცევათ თქვენი ბანკი, ან თუ ფიქრობთ, რომ ისინი არ იცავენ მომხმარებელთა დაცვის კოდექსის წესებს, პირველ რიგში დაწერეთ საჩივარი ბანკში
- ბანკები ვალდებული არიან ქონდეთ მოქმედი საჩივრის პროცედურა და უნდა განიხილონ თქვენი საჩივარი სწრაფად, ეფექტურად და სამართლიანად
- თუ არ ხართ კმაყოფილი საჩივრის განხილვის პროცესის წარმოებით ან მიღებული პასუხით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ფინანსურ სერვისებს ან საპენსიო ომბუდსმენს. ამ დამოუკიდებელ, საწესდებო ორგანოს შეუძლია თქვენი საჩივრის გამოძიება

თაღლითობა და ფინანსური ბოროტად გამოყენება



იხილეთ www.fraudsmart.ie და www.safeguardyourmoney.ie რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის თუ როგორ შეინახოთ თქვენი ფულადი სახსრები უსაფრთხოდ და თავიდან აიცილოთ თაღლითობა.

თაღლითობა:

- **იცოდეთ:** აკონტროლეთ, არ იჩქაროთ და მიიღეთ გადაწყვეტილება რომელსაც ინანებთ
- **ფრთხილად იყავით:** ორმაგად შეამოწმეთ შემთხვევითი ან მოულოდნელი ელ. ფოსტის წერილები, ზარები ან მოკლე ტექსტური შეტყობინებები, რომლებიც თქვენგან პირად, ბიზნეს ან ფინანსურ ინფორმაციას მოითხოვენ
- **იყავით დაცული:** არასდროს მისცეთ ვინმეს თქვენი უსაფრთხოების მონაცემები, როგორც არის თქვენი საბანკო პაროლი, კოდები/ ინტერნეტ ბანკში შესასვლელი მონაცემები ან PIN

ფინანსური ბოროტად გამოყენება:

- ფინანსური ბოროტად გამოყენება შესაძლოა დროთა განმავლობაში დაგროვდეს, ასე რომ თქვე ვერ გააცნობიერებთ, რომ ის, რაც ხდება, თქვენს მიმართ უსამართლოა და შესაძლოა უკანონოც იყოს. ის ასევე შეიძლება გართულდეს, თუ მას ახორციელებს ადამიანი, რომელსაც იცნობთ ან მასზე ხართ დამოკიდებული
- თქვენი ასაკის, სტატუსის ან შესაძლებლობის მიუხედავად, დარწმუნებული უნდა იყოთ რომ თქვენი ფულადი სახსრები იმართება სწორად, უსაფრთხოდ და თქვენს სასარგებლოდ
- თუ წუხთ თქვენი ფულადი სახსრების მართვის გამო, შეგიძლიათ თქვენს ბანკს თხოვოთ დახმარება

საბანკო ანგარიშის გახსნასთან დაკავშირებული დახმარება
შეგიძლიათ მოიძიოთ:

ბანკისგან:

AIB

www.aib.ie

0818 303203

KBC ბანკი

www.kbc.ie

1800 939 244

ირლანდიის ბანკი

www.bankofireland.com

0818 365 365

**permanent tsb / მუდმივი
tsb**

www.permanenttsb.ie

0818 50 24 24

EBS

www.ebs.ie

1850 654321

Ulster ირლანდიის ბანკი

www.ulsterbank.ie

1850 424 365

მოქალაქეთა საინფორმაციო ბიურო:

www.citizensinformation.ie

სატელეფონო სერვისი 0761 07 4000

(ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 9-დან საღამოს
8 საათამდე)

ირლანდიის ცენტრალური ბანკის მომხმარებელთა ცენტრი:

www.centralbank.ie/consumer-hub

ფინანსური სერვისები და საპენსიო ომბუდსმენი:

www.fspo.ie

01 5677 000



www.bpf.ie